

საკონკურსო განცხადება სსიპ -
საქართველოს ინოვაციების და
ტექნოლოგიების სააგენტოს სარგებლობაში
არსებულ მიწის ნაკვეთზე ტექნოპარკის
მონწყობისთვის საჭირო საპროექტო
დოკუმენტაციის შექმნისათვის კონკურსის
გამოცხადების შესახებ



სარჩევი

1 შესავალი	2
2 ტერმინები და განმარტებები	2
3 შესყიდვის საგანი	2
4 პროექტის აღწერილობა	3
4.1 შემსყიდველი	3
4.2 პროექტის მენეჯერი	3
4.3 შემსყიდველის მიზნები	3
4.4 პროექტის ფაზები	3
5 საპროექტო დავალება	3
6 საკონკურსო წინადადების წარმოდგენის წესი	4
6.1 იურიდიული საფუძვლები	4
6.2 წარმოსადგენი დოკუმენტაცია	4
6.3 წარმოსადგენი დოკუმენტაციის ფორმატი	4
6.4 დოკუმენტაციის წარმოდგენის ადგილი	4
6.5 წინადადებების წარდგენის ვადა	4
6.6 საკონტაქტო ინფორმაცია	5
6.7 მოთხოვნები, გამოხმაურებები, დაზუსტებები და ცვლილებები	5
6.8 ვიზიტი სამშენებლო მოედანზე	5
6.9 კონკურსში მონაწილეობის ღირებულება	5
6.10 საკონკურსო წინადადება	6
6.11 დოკუმენტებზე საკუთრების უფლება და კონფიდენციალურობა	6
6.12 დოკუმენტაციის ენა	6
6.13 გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა	6
7 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი	7



1 შესავალი

დოკუმენტში მოცემულია ყველა აუცილებელი ინფორმაცია, რომელიც საჭიროა კონკურსანტის მიერ სრულყოფილი და შემსყიდველის მოთხოვნების შესაბამისი საკონკურსო წინადადების წარმოსადგენად.

2 ტერმინები და განმარტებები

ტერმინი	LMC CSC	განმარტება
RIBA	N/A	Royal Institute of British Architects, ბრიტანელ არქიტექტორთა სამეფო ინსტიტუტი

3 შესყიდვის საგანი

კონკურსის შესყიდვის საგანს წარმოადგენს ოქროყანაში საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ტექნოპარკის მოწყობისთვის საჭირო საპროექტო სამუშაოები.

საპროექტო სამუშაოების ქვეშ იგულისხმება:

- A. მთლიანი ტერიტორიისთვის (ფართობი დაახლოებით 18307მ²) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების მიღება, მის საფუძველზე განაშენიანების რეგულირების გეგმის შემუშავება და ყველა იმ სამუშაოს შესრულება, რაც საჭიროა შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან მათი შეთანხმებისათვის და ნებართვების მოპოვებისათვის.
- B. ადმინისტრაციული ცენტრისა და ინოვაციების ცენტრის მინი მოდელისთვის არსებული შენობა #1 და #2-ის (იხილეთ ფაქტობრივი მდგომარეობის მოკლე აღწერილობა) რეკონსტრუქციის პროექტის შემუშავება, რაც გულისხმობს შემდეგი დოკუმენტაციის შემუშავებას:
 - არქიტექტურული პროექტი
 - საინჟინრო სისტემების პროექტი
 - საინჟინრო სისტემების პროექტის აღნიშნული შენობებისთვის შემუშავება უნდა მოხდეს წითელი ხაზების ფარგლებში და უნდა იყოს მითითებული თუ სად და როგორ უერთდება გარე ქსელებს.
 - ინტერიერის დიზაინის პროექტი
 - შენობის შიდა განათებისა და ფასადის მინათების პროექტი
 - ლანდშაფტისა და გარე კეთილმოწყობის პროექტი
 - საჭიროების შემთხვევაში შენობების კონსტრუქციული პროექტი
 - დემონტაჟის პროექტი (კედლები, სახურავი, და ა.შ)
 - მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი
 - პროექტების ხარჯთაღრიცხვა
 - საპროექტო სამუშაოების მენეჯმენტი
 - პროექტის რეალიზაციისთვის საჭირო ნებართვების მოპოვება



- საავტორო ზედამხედველობის განხორციელება
- ყველა სხვა იმ სამუშაოს განხორციელება, რომელიც არ არის ზემოთ მითითებული, თუმცა საჭირო იქნება აღნიშნული შენობების რეკონსტრუქციის პროექტის შემუშავებისა და მშენებლობის ნებართვების მიღებისთვის

საპროექტო დოკუმენტაციისადმი მოთხოვნებისათვის იხილეთ საპროექტო დავალება

4 პროექტის აღწერილობა

სსიპ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტომ განიზრახა საქართველოში ინოვაციური და ტექნოლოგიების ეკო სისტემის ჩამოყალიბება, რომლის მეშვეობითაც მოხდება ქვეყანაში ინოვაციური სულისკვეთების ამაღლება და მოტივირება, ჯანსაღი ცხოვრების წესისა და ეკოლოგიური გადაწყვეტების პროპაგანდა, კრეატიული და ნოვატორული იდეების გენერირება და რეალობაში იმპლემენტირება, ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართ განათლების ამაღლება და მათი ყოველდღიურობაში გამოყენების დანერგვა.

მდებარეობა: ოქროყანა.

საკადასტრო კოდი: 01.15.07.002.003

4.1 შემსყიდველი

სსიპ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო

4.2 პროექტის მენეჯერი

პროექტის მენეჯენტის ღონისძიებებს ასრულებს შპს ელემსი.

4.3 შემსყიდველის მიზნები

შემსყიდველის მთავარი კრიტერიუმები: ფართი ეფექტურად უნდა იყოს ათვისებული, მომზადებული საპროექტო დოკუმენტაცია უნდა იყოს დადგენილი ბიუჯეტის, დამტკიცებული ვადების და შემსყიდველის მოთხოვნების შესაბამისი.

4.4 პროექტის ფაზები

პროექტის ფაზები ეყრდნობა “RIBA სამუშაო გეგმის მონახაზი 2007”-ს.

აღნიშნული სამუშაო გეგმის მონახაზი ორგანიზებას უკეთებს მართვის პროცესს და სამშენებლო პროექტის დიზაინს, აგრეთვე ადმინისტრირებას უწევს სამშენებლო კონტრაქტებს სხვადასხვა ძირითად სამუშაო ფაზებში. სამუშაო გეგმა იხ. RIBA სამუშაო გეგმის მონახაზი 2007.

საპროექტო მომსახურება უნდა შესრულდეს “RIBA სამუშაო გეგმის მონახაზი 2007”-ს შესაბამისად.

5 საპროექტო დავალება

საპროექტო დავალება მოიცავს საპროექტო გუნდის მიერ შესასრულებელ სამუშაოებს, ტექნიკურ მოთხოვნებს და საპროექტო მიზნებს ტექნოპარკის მიმართ. დეტალური ინფორმაციისთვის იხ. საპროექტო დავალება.



6 საკონკურსო წინადადების წარმოდგენის წესი

6.1 იურიდიული საფუძვლები

შემსყიდველი აცხადებს კონკურსს საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე. კონკურსი ტარდება „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანების საფუძველზე.

6.2 წარმოსადგენი დოკუმენტაცია

კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- ☐ საკონკურსო წინადადება (საკონკურსო დოკუმენტაციაში მოცემული ფორმის შესაბამისად)
- ☐ კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი
- ☐ ადმინისტრაციული ცენტრისა და ინოვაციების ცენტრის მინი მოდელის შენობების კონცეპტუალური გადანწყვეტები. კერძოდ:
 - ☐ შენობების იზომეტრიული რენდერები
 - ☐ გარე ავტოსადგომის კონცეფციური ნახაზები
- ☐ განახლებული ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან
- ☐ კონკურსანტის მომსახურების განწვევის პროცესში ჩართული პერსონალის რეზიუმეები (საკონკურსო დოკუმენტაციაში მოცემული ფორმის შესაბამისად)
- ☐ ინფორმაცია კონკურსანტის გამოცდილების შესახებ (საკონკურსო დოკუმენტაციაში მოცემული ფორმის შესაბამისად)
- ☐ რეკვიზიტები (საკონკურსო დოკუმენტაციაში მოცემული ფორმის შესაბამისად)

საკონკურსო წინადადებები და თანხმობები დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს სრულყოფილად, საკონკურსო განცხადებაში და თანხმობებ დოკუმენტაციაში მითითებული მოთხოვნების გათვალისწინებით. **ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში მოხდება კონკურსანტის დისკვალიფიკაცია.**

საკონკურსო წინადადების წარდგენა, გულისხმობს კონკურსანტის მხრიდან მოცემულ დოკუმენტში და თანხმობებ დოკუმენტაციაში აღნიშნულ პირობებზე თანხმობას.

6.3 წარმოსადგენი დოკუმენტაციის ფორმატი

საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იქნეს ორიგინალი (ამობეჭდილი) და ელექტრონული სახით (CD დისკზე).

6.4 დოკუმენტაციის წარმოდგენის ადგილი

საკონკურსო წინადადება და თანხმობები დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას შემსყიდველ ორგანიზაციაში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, სულხან-საბას ქ. N9, 1-ლი სართული.

6.5 წინადადებების წარდგენის ვადა

საკონკურსო წინადადებების და თანხმობები დოკუმენტაციის წარდგენის ვადაა: 08/08/14 19:00 სთ.



6.6 საკონტაქტო ინფორმაცია

საკონკურსო განცხადებასთან დაკავშირებულ საკითხებზე საკონტაქტო პირი: გიორგი მერებაშვილი, ტელ: 577571050

6.7 მოთხოვნები, გამოხმაურებები, დაზუსტებები და ცვლილებები

საკონკურსო განცხადებასთან დაკავშირებული კითხვები მიიღება საკონკურსო წინადადებების მიღების ვადის დასრულებამდე არაუგვიანეს 3 დღისა.

6.8 ვიზიტი სამშენებლო მოედანზე

კონკურსანტებს შეუძლიათ მოინახულონ სამშენებლო ობიექტი, რომელიც წარმოადგენს დაცულ ტერიტორიას და კონკურსანტმა, რომელსაც სურს ობიექტზე ვიზიტი, წინასწარ უნდა გააფრთხილოს შემსყიდველი ორგანიზაცია აღნიშნულის შესახებ.

სამშენებლო მოედანზე ვიზიტისას, კონკურსანტებმა უნდა გამოიჩინონ სიფრთხილე, დაიცვან უსაფრთხოების ყველა მიღებული ნორმა და გაითვალისწინონ წინასწარ გაცემული გაფრთხილებები.

6.9 კონკურსში მონაწილეობის ღირებულება

საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 191 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ოდენობით (50 ლარი). საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.procurement.gov.ge).

საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

- ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
- ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
- გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
- დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადა განისაზღვრება საკონკურსო წინადადების წარმოდგენის დღიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება, მათ შორის საკონკურსო წინადადების წარმოდგენისათვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის გარეშე წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება გატარდება რეგისტრაციაში და გაუხსნელად დაუბრუნდება კონკურსანტს.

საკონკურსო წინადადება ხელმოწერილი უნდა იყოს კონკურსანტის მიერ, ხელმოუწერელი საკონკურსო წინადადება არ განიხილება.



6.10 საკონკურსო წინადადება

საკონკურსო წინადადება უნდა იყოს წარმოდგენილი ლარში, დღგ-ს ჩათვლით.

საკონკურსო წინადადება უნდა მოიცავდეს ყველა და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც უკავშირდება მომსახურების გაწევას.

კონკურსანტის ფინანსური წინადადება და ინფორმაცია კონკურსანტის პერსონალის ანაზღაურების შესახებ (რომელიც გამოყენებული იქნება სამუშაო მოცულობის ცვლილების შემთხვევაში) უნდა იქნეს წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციაში მოცემული საკონკურსო წინადადების ფორმატში.

6.11 დოკუმენტებზე საკუთრების უფლება და კონფიდენციალურობა

კონკურსანტის მიერ მონაწილეობის ყველა დოკუმენტაცია იქნება შემსყიდველის საკუთრება, მათი გამოყენების შეზღუდვის გარეშე.

6.12 დოკუმენტაციის ენა

საკონკურსო წინადადება და ყველა რელევანტური კორესპონდენცია უნდა იქნეს წარმოდგენილი ქართულ ენაზე.

საპროექტო დოკუმენტაცია უნდა იქნეს წარმოდგენილი ქართულ ენაზე.

6.13 გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა

საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა მოხდება საკონკურსო კომისიის მიერ, საკონკურსო პირობებით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად.

საკონკურსო წინადადებების შეფასება მოხდება 10 ქულიანი სისტემით, შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით და პრიორიტეტულობის კოეფიციენტის მიხედვით:

#	შეფასების კრიტერიუმი	10 ქულიანი შეფასების პრინციპი	პრიორიტეტულობის კოეფიციენტი
1	კონკურსანტის გამოცდილება პროექტში, რომლის დამკვეთს წარმოადგენს საერთაშორისო ორგანიზაცია და რომელიც განხორციელებულია საერთაშორისოდ აღიარებული სამუშაოების შესრულების მეთოდოლოგიის მიხედვით. (მაგ. „RIBA-სამუშაო გეგმის მონახაზი 2007“)	კონკურსანტის ქულა განისაზღვრება მის მიერ შესრულებული პროექტების რაოდენობის შეფარდებით კონკურსანტთა შორის შესრულებული პროექტების მაქსიმალურ რაოდენობასთან და 10-ზე გამრავლებით.	0.05
2	კონკურსანტის გამოცდილება მსგავსი ტიპის პროექტში	კონკურსანტის ქულა განისაზღვრება მის მიერ შესრულებული პროექტების რაოდენობის შეფარდებით კონკურსანტთა შორის შესრულებული პროექტების მაქსიმალურ რაოდენობასთან და 10-ზე გამრავლებით	0.05
3	კონკურსანტის საკონკურსო	კონკურსანტის ქულა	0.2



	წინადადების ფასი	განისაზღვრება კონკურსანტის საკონკურსო წინადადების ფასის შეფარდებით კონკურსანტთა შორის საკონკურსო წინადადების მინიმალურ ფასთან, მიღებული შედეგი აკლდება 2-ს და მრავლდება 10-ზე.	
4	კონკურსანტის მიერ სამუშაოს შესრულების შესაბამისობა პროექტის სტრატეგიულ კალენდარულ გრაფიკთან	შეფასება მოხდება პროექტის სტრატეგიული კალენდარული გრაფიკით განსაზღვრულ ვადებში საპროექტო სამუშაოების შესრულებაზე კონკურსანტის დასტურის საფუძველზე	0.3
5	კონკურსანტის მიერ მომზადებული კონცეფცია/ესკიზი	შეფასება მოხდება კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საკონკურსო დოკუმენტაციაში ასახულ მოთხოვნებთან შესაბამისობის ხარისხის და ვიზუალური მოწონების მიხედვით	0.4

10 ქულიანი სისტემიდან მინიჭებული ქულა მრავლდება პრიორიტეტულობის კოეფიციენტზე. კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება თუ მას საკონკურსო კომისიის მიერ, ზემოაღნიშნული პრინციპით მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა.

გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ წერილობითი შეტყობინების სახით ეცნობება შესაბამის კონკურსანტს და მოხდება ხელშეკრულების გაფორმება.

7 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

კონკურსანტის შერჩევის შემდეგ მასთან გაფორმდება ხელშეკრულება. ხელშეკრულების პირობებისთვის იხ. ხელშეკრულების პროექტი, რომელიც შესაძლოა შეიცვალოს უმნიშვნელოდ. ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი იქნება საპროექტო დავალება, კომერციული წინადადების შევსებული ფორმა და სხვა რელევანტური დოკუმენტაცია.